საქართველოს მთავრობის განკარგულება

N706 2015 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გაზრდის თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 1 აპრილის სხდომის №11 ოქმის დავალების თანახმად, საქართველოს სამინისტროებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინეს ინფორმაცია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების თაობაზე, ჯამურად - 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის ოდენობით.

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს სამინისტროებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეამციროს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით (დანართის შესაბამისად) და აღნიშნული თანხით გაზარდოს საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 8 აპრილის
№ 706 განკარგულების

დანართი

დასახელება	შესამცირებელი თანხა (ათას ლარებში)
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	-10,500.0
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	-2,000.0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	-2,000.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	-1,100.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	-1,000.0
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	-1,000.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	-1,000.0
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	-500.0
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	-500.0
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	-200.0
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	-100.0
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	-100.0
სულ	**-20,000.0**